როდესაც რამადანის ბოლო დეკადა დგებოდა, ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ღამეებს თაყვანისცემას უძღვნიდა, აღვიძებდა თავის ოჯახს [დამატებითი ლოცვებისთვის], კიდევ უფრო მეტად იღვწოდა თაყვანისცემაში და იკრავდა იზარს [გაურბოდა სიახლოვეს ცოლებთან]

გადმოცემულია მორწმუნეთა დედის აიშასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომელმაც თქვა: «როდესაც რამადანის ბოლო დეკადა დგებოდა, ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ღამეებს თაყვანისცემას უძღვნიდა, აღვიძებდა თავის ოჯახს [დამატებითი ლოცვებისთვის], კიდევ უფრო მეტად იღვწოდა თაყვანისცემაში და იკრავდა იზარს [გაურბოდა სიახლოვეს ცოლებთან]».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

როდესაც რამადანის ბოლო ათი დღე დადგებოდა შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ღამეებს სრულიად ღვთისმსახურებაში ატარებდა, ის დაკავებული იყო სხვადასხვა ღვთისმსახურებებით, აღვიძებდა თავის ოჯახის წევრებს ლოცვისთვის, ის ამ დროს ჩვევლებრივთან შედარებით უფრო მეტ დროს უთმობდა ღვთისმსახურებას, განმარტოვდებოდა ღვთისმსახურებისთვის და წყვეტდა ცოლებთან ურთიერთობას.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/4944